ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.06.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/14

შეკითხვა:

ადვოკატს აქვს თავისი საადვოკატო ბიურო. ადვოკატი თავისი კლიენტების საქმის მასალებს აცნობს საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტებს და ავალებს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის შექმნას. მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულია თუ არა ადვოკატი საადვოკატო მომსახურების დაწყების წინ შეატყობინოს კლიენტს, რომ მის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და საქმის მასალებს გაეცნობა საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტები წარმოადგენენ მესამე პირებს, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება ადვოკატთან მოსული კლიენტების საქმის მასალები. ადვოკატის მიერ სტაჟიორებისათვის კლიენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა წარმოადგენს კლიენტის საქმესთან დაკავშირებით კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების წინ კლიენტი უნდა იყოს ინფორმირებული, რომ მისი საქმის მასალები ცნობილი გახდება საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტისათვის. ამასთან, უმჯობესია ადვოკატმა გააფრთხილოს წინასწარ სტაჟიორი, რომ მას ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.

დასკვნა:

ადვოკატმა მხოლოდ კლიენტის თანხმობის საფუძველზე უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ამ შემთხვევაში, გულისხმობს კლიენტის მიერ წინასწარ თანხმობას იმის თაობაზე, რომ საადვოკატო ბიუროში მომუშავე სტაჟიორ-იურისტი გაეცნობა კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ საქმის მასალებს.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.